დამტკიცებულია მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საბჭოს მიერ 2021 წლის 19 ივლისის სხდომის ოქმი №6

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი
საფეხური: სამაგისტრო
პროგრამა: ფსიქოლოგია (სოციალური ფსიქოლოგია, განათლების ფსიქოლოგია, კლინიკური ფსიქოლოგია)

პროგრამაზე მიღების მოთხოვნები და შეფასების სისტემა

ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია:

1. საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება:

ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის მსურველმა უნდა ჩააბაროს საერთო სამაგისტრო გამოცდა. სტუდენტმა უნდა მიიღოს დადებითი შეფასება გამოცდის ოთხივე ნაწილში და მის მიერ მიღებული ქულა არ უნდა იყოს 9 ქულაზე ნაკლები ტესტის ორ ნაწილში მაინც.

2. სულ მცირე ბაკალავრის ხარისხი:

კლინიკური ფსიქოლოგიის მიმართულებით სწავლის გაგრძელების მსურველებს უნდა ჰქონდეთ სულ მცირე ბაკალავრის ხარისხი ფსიქოლოგიაში, ხოლო სოციალური და განათლების ფსიქოლოგიის მიმართულებით - სულ მცირე ბაკალავრის ხარისხი ნებისმიერ სფეროში.

მოცემული წინაპირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში აპლიკანტმა უნდა გაიაროს შიდასაუნივერსიტეტო წერითი გამოცდა (შეფასების სქემა მოცემულია დანართში). წერით გამოცდას ატარებს დარგობრივი კომისია, რომელიც აფასებს შემდეგ სფეროებს:

1. აპლიკანტის მიერ შერჩეული სფეროს (სოციალური ფსიქოლოგია, განათლების ფსიქოლოგია, კლინიკური ფსიქოლოგია) ცოდნა - 40 ქულა
2. ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე - 20 ქულა
3. მოტივაცია - 30 ქულა
4. წერითი კომუნიკაციის უნარი - 10 ქულა

აპლიკანტი ფასდება 100 ქულიანი სისტემით. იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტის მიერ გამოცდაზე მიღებული ქულა იქნება 51 ქულაზე ნაკლები, ის გამოირიცხება ჩასარიცხ კანდიდატთა სიიდან.

გაფრთხილება: პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში აპლიკანტის ნაწერი შეფასდება 0 ქულით!

დანართი

<u>წერითი გამოცდის შეფასების სქემა</u>

		<u>ქულა</u>	<u>მაქს. ქულა</u>
<u>1</u>	<u>ცოდნა</u>		<u>40</u>
	ნაშრომი ადეკვატურად და ამომწურავად პასუხობს დასმულ კითხვას.		<u>15</u>
	მსჯელობა არგუმენტირებულია; არგუმენტები ეფუძნება მეცნიერულ წყაროებს, თეორიებს და კვლევებს და გამყარებულია შესაბამისი მაგალითებით		<u>20</u>
	ნაშრომის აგება - ნაშრომი სტრუქტურულად გამართულია, აზრები, თანმიმდევრულად არის გადმოცემული, ნაშრომის ნაწილები ერთმანეთთან ლოგიკურადაა დაკავშირებული, აგებულია აკადემიური წერის სტილის შესაბამისად.		<u>5</u>
<u>2</u>	<u>ინგლისური ენის ცოდნა</u>		<u>20</u>
	პროფესიული/დარგობრივი ტექსტის გაგებისა და გადმოცემის უნარი: ნაწერი სრულად შეესაბამება ორიგინალში მოწოდებულ ინფორმაციას, გამართულად და გასაგებადაა დაწერილი (თარგმნილი).		
<u>3</u>	<u>მოტივაცია</u>		<u>30</u>
	აპლიკანტის საგანმანათლებლო მიზნების და პროგრამის მიზნების თანხვედრა: აპლიკანტი კარგად იცნობს პროგრამას, კურიკულუმს, ესმის მისი საგნების მნიშვნელობა პროგრამისათვის და დასაბუთებულად აქვს შერჩეული მისთვის მნიშვნელოვანი საგნები.		<u>15</u>
	აპლიკანტი ხედავს მეცნიერების შერჩეული დარგის და მისი გამოყენების ღირებულებას.		<u>5</u>
	აპლიკანტს გააზრებული აქვს პროფესიული განვითარების და კარიერული ზრდის საჭიროებები და პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნის გამოყენების შესაძლებლობები პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის პერსპექტივიდან.		<u>10</u>
<u>4</u>	<u>წერითი კომუნიკაციის უნარი</u>		<u>10</u>
	აზრი ნათლადაა გადმოცემული, ნაწერი ლექსიკურად მდიდარი და სტილისტურად გამართულია, ლექსიკა შეესაბამება დასმულ საკითხს.		<u>5</u>
	ნაშრომი სტილისტურად, სინტაქსურად და მორფოლოგიურად გამართულია; აკმაყოფილებს პუნქტუაციის მოთხოვნებს.		<u>5</u>
	<u>სულ</u>		<u>100</u>